

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს
ბატონ კობა გვენეტაძეს

ასლი: სს „საქართველოს ბანკს“
სს თიბისი ბანკს
სს „ვითიბი“ ბანკს

ზოგადი წინადადება

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო კობა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, სხვადასხვა დროს, მომართეს ნიგერიის რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის და სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქეებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოში უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნისა და სხვადასხვა საბანკო მომსახურების გაწევისას ექმნებათ გარკვეული პრობლემები.

კერძოდ, 2016 წლის 8 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს N4512/16 განცხადებით მომართა **ს. ა. ო.-იმ**, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს ააიპ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“. იგი აღნიშნავს, რომ არის ნიგერიის მოქალაქე და სწავლობს საქართველოში აკრედიტირებულ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. მან მიმართა სს „საქართველოს ბანკს“ ვადაგასული სტუდენტური ბარათის განახლების მოთხოვნით, თუმცა, ბანკმა მას მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებული ბანკის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილის წარდგენა, რაც განმცხადებლისთვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან მას არა აქვს კავშირი ამ ბანკებთან. ს. ა. ო.-ეი მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს ბანკის“ უარი სტუდენტური ბარათის განახლებაზე, წარმოადგენს ნიგერიის მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციას.

2016 წლის 19 მაისის საქართველოს სახალხო დამცველს N6334/16 განცხადებით მომართა სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქე **მ. დ.-მა**, რომელიც თურქული სამშენებლო კომპანია „ა. ქ. ი. მ. ე. თ. თ.-ის“ თანამშრომელია. მ. დ.-ის ინტერესებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენენ ადვოკატები გ. შ. და ზ. დ.

განცხადების თანახმად, 2015 წლის 22 აპრილს აღნიშნული კომპანიის დირექტორმა ი. ჰ. ო-მა, მ. დ.-ის სახელზე ნოტარიალურად გააფორმა მინდობილობა, რომლის თანახმად, მას უნდა განეხორციელებინა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოქმედებები. მათ შორის, მიეღო ამონაწერები კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან, რომლებიც სს „ვითიბი ბანკში“ გახსნილია. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს, კომპანიაში მიმდინარეობდა გეგმიური საგადასახადო შემოწმება, აღნიშნულისთვის საჭირო გახდა ბანკიდან გარკვეული ფინანსური ინფორმაციის მიღება, რისთვისაც მ. დ.-მა მიმართა „ვითიბი ბანკის“ ცენტრალურ ფილიალს, სადაც წარადგინა ნოტარიულად დამოწმებული, ზემოაღნიშნული მინდობილობა. ბანკის მენეჯერმა მას განუცხადა, რომ არ გაუწევდნენ საბანკო მომსახურებას, ვინაიდან იგი სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე იყო.

2016 წლის 10 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს N10250/16 განცხადებით მომართა ირანის მოქალაქე **ჰ. რ. ჩ.-იმ**, რომელიც განმარტავს, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები, მათ შორის, სს „თიბისი ბანკი“ და სს „საქართველოს ბანკი“ არ უხსნიან საბანკო ანგარიშს დოლარისა და ევროს ვალუტაში, ვინაიდან იგი ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეა.

2017 წლის 10 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველს N2067/17 განცხადებით მიმართა **მ. ი. ნ. კ.-იმ**, როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, იგი ფლობს ორმაგ, საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეობას. მიუხედავად ამისა, ქართული კომერციული ბანკები მას უარს ეუბნებიან ანგარიშის გახსნაზე ირანის მოქალაქეობის გამო. მისი განცხადებით, მან მხოლოდ სს „თიბისი ბანკში“ შეძლო, „შეზღუდული“ ანგარიშის გახსნა. სწორე იმის გამო, რომ ქართული კომერციული ბანკები უარს ეუბნებიან სრულყოფილ საბანკო მომსახურებაზე, იგი იძულებულია სამეწარმეო საქმიანობა ქართველი მეუღლის სახელით წარმართოს.

ვინაიდან ზემოაღნიშნული განცხადებები მსგავს სამართლებრივ საკითხებს შეეხება, საქართველოს სახალხო დამცველმა ისინი ერთობლივად განიხილა.

განსახილველი განცხადებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები დამატებით შეხვდნენ ს. ა. ო.-ისა და მის წარმომადგენელს, ასევე მ. დ.-ის წარმომადგენელს. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს, სს „საქართველოს ბანკს“, სს „ვითიბი ბანკს“ და სს „თიბისი ბანკს“.

1. ფაქტობრივი გარემოებები

ს. ა. ო.-ის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი ნიგერიის მოქალაქეა, რომელიც კანონმდებლობის სრული დაცვით იმყოფება საქართველოში და სწავლობს თბილისში მდებარე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ს. ა. ო.-იმ რამდენჯერმე სცადა 2016 წლის თებერვალში ვადაგასული სტუდენტური ბარათის განახლება, თუმცა სს „საქართველოს ბანკმა“ შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის აუცილებელ და უალტერნატივო კრიტერიუმად მოითხოვა რეკომენდაციის წარდგენა აშშ-ს, ავსტრალიის, კანადის ან/და ევროკავშირის საბანკო დაწესებულებიდან. განმცხადებელი მიუთითებს, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ობიექტურად შეუძლებელია, ვინაიდან მას არ გააჩნია არანაირი კავშირი ჩამოთვლილი ქვეყნების საბანკო დაწესებულებებთან.

განმცხადებლის განმარტებით, იგი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა იმ კრიტერიუმს, რომლებიც საჭიროა შესაბამისი შეღავათებით სარგებლობისათვის, კერძოდ:

- არის სტუდენტის სტატუსის მქონე;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც იგი სწავლობს, არის ავტორიზებული;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც იგი სწავლობს, მდებარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მიუხედავად ამისა, იგი ვერ სარგებლობს ამ შეღავათებით იმის გამო, რომ არ შეუძლია წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი იმ ბანკებიდან, რომლებთანაც მას არ გააჩნია საქმიანი ურთიერთობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლის 19 აპრილს მიმართა სს „საქართველოს ბანკს“ და სთხოვა, მოეწოდებინა ინფორმაცია სტუდენტური ბარათის გაცემისას, დაწესებული იყო თუ არა რაიმე შეზღუდვები უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის. 2016 წლის 28 აპრილს საქართველოს ბანკმა გვაცნობა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებზე შესაბამისი ბარათის გაცემისას, ბანკი ვალდებულია დაიცვას „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ბანკის განცხადებით, ამ „...კანონის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი განსაზღვრავს ფინანსური ინსტიტუტის ვალდებულებას ჰქონდეს რისკების მართვის სათანადო სისტემა ისეთი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომლის საქმიანობამ შესაძლებელია შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკი, და აწარმოოს მის მიმართ გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების გაძლიერებული მონიტორინგის პროცესი“. ბანკი ასევე მიუთითებს „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ „კომერციული ბანკი ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების

შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FACTA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების შესაბამისად.

„საქართველოს ბანკის“ წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ნიგერიის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებზე სტუდენტური ბარათის გაცემა გულისხმობს ბარათის მიმღებისათვის მიმდინარე ანგარიშის გახსნას. **ბანკი ასეთ სტუდენტებს მაღალი რისკის კლიენტებად განიხილავს, ვინაიდან, ნიგერიის მოქალაქე ფიზიკური პირების მიერ ბანკში დაფიქსირებულია არაერთი თაღლითობის მცდელობის ფაქტი**, ნიგერიელი ფიზიკური პირების მიერ, ხშირად, სტუდენტური ბარათების გამოყენება არ უკავშირდება სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული საფასურის გადახდას, **საქართველოში დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ნიგერიელი ფიზიკური პირები დაკავებულები იყვნენ ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და გასაღების ბრალდებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ბანკი ვალდებულია ნიგერიის მოქალაქეობის მქონე ფიზიკური პირების მიმართ გამოიყენოს გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების პროცედურები.** აღნიშნული კი, თავის მხრივ, გულისხმობს ანგარიშის გახსნისა და სტუდენტური ბარათის შეკვეთის პროცესში **დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნას**, რაც აღნიშნული პირის მიმართ იქნა მოთხოვნილი. ასეთი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში ბანკი უარს აცხადებს ანგარიშის გახსნაზე. ბანკის მიერ ანგარიშის გახსნისას დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა, სს „საქართველოს ბანკის“ განცხადებით, გათვალისწინებულია „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტით. ამასთან, იგივე მუხლის მე-4 პუნქტი კომერციულ ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.

საქართველოს ბანკი ასევე განმარტავს, რომ **უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებთან მიმართებით მუშაობს ახალი ტიპის პროდუქტზე, რომელიც საშუალებას მისცემს აღნიშნულ პირებს ისარგებლონ სტუდენტური ბარათით მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებში.**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ასევე აცნობა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომლის, 2016 წლის 1 ივნისს მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ მათ მიერ მოხდა საკითხის გარკვევა სს „საქართველოს ბანკთან“, რომლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ს. ა. ო.-ის შეეძლო მიემართა ბანკისთვის ბარათს დამზადების მოთხოვნით.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკის განცხადებით, **საქართველოს ბანკმა შეიმუშავა პროცედურა, რის მიხედვითაც, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც სარგებლობს საქართველოში სტუდენტის სტატუსით, შეეძლება სტუდენტური ბარათით სარგებლობა, რომელზეც დაშვებული იქნება ანგარიშის გახსნა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.**

2016 წლის 21 ივლისს განმცხადებლის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი განცხადება, რომლის თანახმად, ბანკის პრაქტიკა მიემართება მხოლოდ ნიგერიის მოქალაქეებს, ხოლო სხვა ქვეყნების მოქალაქე სტუდენტებს მსგავსი პრობლემები არ ექმნებათ, რაც, განმცხადებლის წარმომადგენლის აზრით, იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ **ადგილი აქვს დისკრიმინაციულ მოპყრობას ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეობის მქონე ადამიანთა ჯგუფის მიმართ.** ამასთან, „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ სხვა ნიგერიელ სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე გამოარკვია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებს სტუდენტური ბარათის აღებას, რის გამოც, ისინი თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ. **ისინი ვერ სარგებლობენ სტუდენტებისთვის დადგენილი შეღავათებით და მათი ფინანსური სახსრებით.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ს. ა. ო.-იმ სტუდენტური ბარათის მიღება შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ მიმართეს სახალხო დამცველს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სს „საქართველოს ბანკს“ და დაიწყეს მზადება სასამართლო დავისთვის. ამასთან, მართალია განმცხადებელმა შეძლო სტუდენტური ბარათის მიღება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის სახალხო დამცველს სთხოვს განაგრძოს საქმის შესწავლა, ვინაიდან იგივე პრობლემა კვლავ აქტუალურია ნიგერიის მოქალაქეობის მქონე სხვა სტუდენტებთან მიმართებით.

შემდეგი განმცხადებელი - **მ. დ.-ი** არის სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქე. იგი საქართველოში, პირველად, 2011 წლის 21 აპრილს ჩამოვიდა, როგორც თურქული სამშენებლო კომპანია „ა. ქ. ი. მ. ე. თ. თ.-ის“ თანამშრომელი, რომლის ფილიალი საქართველოში 2011 წლის 13 იანვარს გაიხსნა. განმცხადებლის განმარტებით, იგი დღემდე მითითებული კომპანიის მენეჯერად მუშაობს.

დ.-ს განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 18 აგვისტოს, კომპანიაში მიმდინარეობდა გეგმიური საგადასახადო შემოწმება, რისთვისაც საჭირო გახდა გარკვეული ფინანსური ინფორმაციის წარდგენა, რის გამოც განმცხადებელმა სს „ვითიბი“ ბანკის ცენტრალურ ფილიალს მიმართა, სადაც კომპანია ფლობდა ანგარიშს და წარადგინა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა. ბანკის მენეჯერმა მას განუცხადა, რომ ბანკი მასზე ვერ გასცემდა მოთხოვნილ ინფორმაციას, ვინაიდან იგი სირიის მოქალაქე იყო. განმცხადებლის განმარტებით, როდესაც მან უარის მიზეზის წერილობითი ფორმით განმარტება მოითხოვა, ბანკში განუცხადეს, რომ საერთოდ დახურავდნენ ორგანიზაციის ანგარიშს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა „ვითიბი ბანკისგან“ გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე ეთქვა უარი მ. დ.-ს შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის გაცემაზე.

„ვითიბი“ ბანკმა, 2016 წლის 15 აგვისტოს წერილით სახალხო დამცველს აცნობა, რომ კომპანია „ა. ქ. ი. მ. ე. თ. თ.-ის“ დირექტორის 2015 წლის 22 აპრილს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მ. დ.-ის 2015 წლის 19 აგვისტოს გადაეცა აღნიშნული კომპანიის საბანკო ანგარიშის ამონაწერი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2016 წლის 10 აგვისტოს განცხადებით მიმართა **ჭ. რ. ჩ.-იმ**, რომელიც ირანის მოქალაქეა. განცხადების თანახმად, მას საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები, (მათ შორის, სს „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“), არ უხსნიან ანგარიშს **დოლარისა** და **ევროს** ვალუტაში, ვინაიდან იგი ირანის მოქალაქეა. მისი განმარტებით, საქართველოს ბანკმა მას მოსთხოვა ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში ან ავსტრალიაში რეგისტრირებული ბანკიდან სარეკომენდაციო წერილი, რაზეც მან თურქული ბანკის (ZIRAAT BANKASI) ცნობა წარადგინა, რომლითაც დასტურდება, რომ მას მითითებულ ბანკში გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში სხვადასხვა ვალუტაში. საქართველოს ბანკმა განუცხადა, რომ თურქული ბანკის სარეკომენდაციო წერილს ვერ გაითვალისწინებდა, ვინაიდან თურქეთი არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს.

აღნიშნული განცხადების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა „ვითიბი ბანკისგან“, „თიბისი ბანკისგან“ და „საქართველოს ბანკისგან“, რომლებიც მიუთითებენ, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.

„ვითიბი ბანკის“ 2016 წლის 17 აგვისტოს წერილის თანახმად, *ბანკი თავად წყვეტს რამდენად მისაღებია კონკრეტული მომხმარებელი მისი კომერციული მიზნებისათვის და გაუხსნას თუ არა მას ანგარიში, პოტენციური კლიენტის რეზიდენტობის მიუხედავად.*

„თიბისი ბანკი“ 2016 წლის 23 აგვისტოს წერილში კი აღნიშნავს, რომ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის „N4 ბრძანების“ მიხედვით, კომერციული ბანკი უფლებამოსილია თავად შეიმუშავოს შესაბამისი პროცედურები, რაც მოიცავს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას არა მარტო უცხო ქვეყნის, არამედ, ასევე საქართველოში რეგისტრირებული პირების მიმართ, გამოვლენილი რისკების მართვის მიზნით. ბანკის განცხადებით, **საქართველოში რეგისტრირებულ სხვადასხვა კომერციულ ბანკს აქვს განსხვავებული მიდგომა რისკის აპეტიტის მიმართ და შესაბამისად განსხვავებულია ის პროცედურები, რასაც კომერციული ბანკები იყენებენ შესაბამისი კლიენტების მიმართ.**

„თიბისი ბანკმა“ ზემოაღნიშნულ წერილში ასევე მიუთითა, რომ „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N35/04 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომერციული ბანკის ვალდებულებები მომხმარებლისგან პრეტენზიების მიღებასთან დაკავშირებით, არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე: ბ) მომხმარებლის პრეტენზია ეხება ბანკის უარს მომხმარებლისათვის კრედიტის გაცემაზე/დეპოზიტის მიღებაზე; გ) პრეტენზიის მიზეზს წარმოადგენს შეფერხებები მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევისას ან უარი

მომსახურების გაწევაზე, რომელიც განპირობებულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.¹

„თიბისი ბანკის“ განმარტებით, ბანკების მიზანს არ წარმოადგენს კლიენტთა გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაცია, არამედ კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მზარდი რისკების მართვა, მათი მიტიგაციის მიზნით.

„საქართველოს ბანკის“ 2016 წლის 24 აგვისტოს წერილის თანახმად კი, ბანკი უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებზე საბანკო მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებით. გარდა ამისა, „საქართველოს ბანკის“ წერილში აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ნორმების შესრულების კონტროლს, თავის მხრივ, ახორციელებს ეროვნული ბანკი.

2017 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა *მ. ი. ნ. კ.-მა*, რომელსაც გააჩნია ორმაგი - საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეობა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ვინაიდან მისი დაბადების ადგილად მითითებულია ირანის ისლამური რესპუბლიკა, საქართველოს კომერციული ბანკები მას უარს ეუბნებიან სრულყოფილ საბანკო მომსახურებაზე, რის გამოც, მან მხოლოდ „თიბისი“ ბანკში მოახერხა „შეზღუდული ანგარიშის“ გახსნა.

მ. ი. ნ.-ად კარდუნის განცხადებით, სამეწარმეო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების შეუძლებლობის გამო, რაც, თავის მხრივ, სრულყოფილი საბანკო მომსახურებით სარგებლობის შეზღუდვითაა გამოწვეული, იგი თავის სამეწარმეო საქმიანობას, მხოლოდ მისი ქართველი მეუღლის სახელით ახორციელებს.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი განმარტებისთვის მიმართ სს „თიბისი ბანკს“. ბანკის მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ სს „თიბისი ბანკი“ საბანკო საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული ბანკის მითითებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სს „თიბისი ბანკის“ განცხადებით, „კომერციულ ბანკებში გარკვეული პროდუქტების მახასიათებლები მოიაზრებს უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებას უცხოური ფინანსური ინსტიტუტების გავლით. ვინაიდან, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს აქვთ დაწესებული გარკვეული შეზღუდვები, ამ ქვეყნებში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც საერთაშორისო ტრანზაქციებისას თიბისი ბანკის

¹ აქ უნდა მიეთითოს ის, რომ დღეს მოქმედებს ახალი წესი, რომელიც შეიცავს ზუსტად მსგავს დანაწესს.

შუამავალს წარმოადგენენ, აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა ამ ქვეყნების ვალუტაში ანგარიშსწორების წარმოებისას. ამ მოთხოვნების დაუცველობა სანქციების რისკის ქვეშ აყენებს როგორც ბანკს, ასევე კლიენტს“.

ამასთან ერთად, ბანკის წერილის შესაბამისად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე, მიუხედავად პირის მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ განცხადებებში მითითებული გარემოებები შესაძლოა წარმოადგენდნენ დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებს საბანკო მომსახურებით სარგებლობის სფეროში, სპეციფიკური ნიშნის - გარკვეულ სახელმწიფოთა მოქალაქეობის მქონე ადამიანთა ჯგუფის მიმართ. აღნიშნული დასკვნა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება თვითონ კომერციული ბანკების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელშიც ისინი ამ კატეგორიის კლიენტებისათვის ანგარიშის გახსნისას, განსხვავებული მოთხოვნების წარდგენისა და, შესაბამისად, მოპყრობის ნორმატიულ საფუძველად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს ასახელებენ.

გარდა ამისა, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ კომერციულმა ბანკმა თავისი მომსახურების მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემოწმებისას უნდა იცოდეს *მომხმარებლის ვინაობა, საქმიანობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე*.

ბანკები, ასევე მიუთითებენ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც კომერციულ ბანკებს ანიჭებს უფლებას, ანგარიშის გახსნისას, თავად განსაზღვრონ და მომხმარებლისგან მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია. იგივე მუხლის მე-4 პუნქტით კი, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი (მათ შორის, კომერციული ბანკი)² ვალდებულია ჰქონდეს *რისკების მართვის სათანადო სისტემა ისეთი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომლის საქმიანობამ შესაძლებელია შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკი, და აწარმოოს მის მიმართ გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების და გაძლიერებული მონიტორინგის პროცესი.*

ამავე ნორმის თანახმად, იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების პროცედურები უნდა განხორციელდეს *რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, კლიენტის ტიპისა და ხასიათის, საქმიანი ურთიერთობის, პროდუქტის/მომსახურების ან გარიგების შინაარსის გათვალისწინებით.*

ამრიგად, შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე, კომერციული ბანკები, *რისკზე დამყარებული მიდგომის* საფუძველზე, უნდა ახდენდნენ მათი მომსახურების ისეთი მომხმარებლის (კლიენტის) იდენტიფიცირებას, რომლის საქმიანობამ შესაძლებელია შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხე. ამასთან, ფინანსური მომსახურების *მომხმარებლის (კლიენტის) იდენტიფიკაციისა* და მისი *ვინაობის გადამოწმების (ვერიფიკაციის)* პროცედურა უნდა განხორციელდეს, მათ შორის, *კლიენტის ტიპისა და ხასიათის გათვალისწინებით.*

რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, ფინანსური მომსახურების მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და საქმიანი ურთიერთობების მონიტორინგის განხორციელების საერთაშორისოდ აღიარებული წესები დადგენილია *ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force –FATF) (შემდგომში - სპეციალური ჯგუფი)* მიერ შემუშავებული *40 რეკომენდაციით*. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრ სახელმწიფოს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის N236 დადგენილებით დამტკიცებული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ ამსახველი დოკუმენტის თანახმად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია შემუშავებულია სწორედ სპეციალური ჯგუფის მიერ მიღებული 40 რეკომენდაციის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იგივე დოკუმენტის შესაბამისად, არა მხოლოდ სტრატეგია, არამედ, ასევე, შესაბამისი ქართული კანონმდებლობაც, თავის მხრივ,

² „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონიტორინგი განმარტებულია, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული პირების მიერ გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა ამ კანონითა და მის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით. იგივე კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით კი, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენენ, მათ შორის, კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.;

ეყრდნობა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

სპეციალური ჯგუფის N1 რეკომენდაციის შესაბამისად, რისკების შეფასების და **რისკზე დამყარებული მიდგომის მიზნით**, ფინანსური ორგანიზაციები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეების გამოვლენისა და შეფასებისთვის, ფინანსური მომსახურების **კლიენტების, სახელმწიფოებისა და გეოგრაფიული რეგიონების** (არეალის) გათვალისწინებით,³ რისთვისაც, სპეციალური ჯგუფის შესაბამისი რეკომენდაციები (N9-23) განსაზღვრავენ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა, მათ შორის, ფინანსური მომსახურების მომხმარებლის - **კლიენტის სათანადოდ შემოწმების ღონისძიებები (customer due diligence (CDD) measures)**.

სპეციალური ჯგუფის N10 რეკომენდაციის თანახმად, ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან, მიიღონ მათი მომსახურების მომხმარებლის (კლიენტის) სათანადოდ შემოწმების ზომები, (1) საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას; (2) ისეთი ერთჯერადი ოპერაციის განხორციელებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება 15000 დოლარს/ევროს; (3) როდესაც არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი; (4) როდესაც ფინანსურ დაწესებულებას გააჩნია ეჭვი კლიენტის პიროვნების დამადასტურებელი მონაცემების ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან როდესაც ამგვარი მონაცემები არასრულადაა წარმოდგენილი.⁴

იგივე რეკომენდაციით, კლიენტის სათანადოდ შემოწმება უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს, (a) კლიენტის იდენტიფიკაციას და მისი ვინაობის დადასტურებას **სანდო, დამოუკიდებელი და ავთენტური** დოკუმენტების ან ინფორმაციის მეშვეობით; (b) კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრას და მისი პიროვნების გადამოწმების გონივრული ზომების მიღებას; (c) საქმიანი ურთიერთობის ხასიათისა და მიზნების სათანადოდ შესწავლას; (d) საქმიან ურთიერთობათა ფარგლებში არსებული გარიგებების ანალიზს იმისთვის, რომ ფინანსურ დაწესებულებას მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია კლიენტისა და მისი საქმიანობისგან მომავალ, პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით.⁵

იმავე, #N10 რეკომენდაციის თანახმად, როდესაც ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება (მათ შორის, „რისკზე დამყარებული მიდგომის“ საფუძველზე მათი კორექტირების შემთხვევაში), ბანკი **ვალდებული უნდა იყოს, უარი განაცხადოს**

³ INTERNATIONAL STANDARDS ON COMBATING MONEY LAUNDERING AND THE FINANCING OF TERRORISM & PROLIFERATION - **The FATF Recommendations. Updated November 2017. P.: 31;**

⁴ იქვე. გვ. 12;

⁵ იქვე;

*ანგარიშის გახსნაზე, ან კლიენტთან შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა.*⁶ მაშასადამე, ბანკი ვალდებულია უარი თქვას ანგარიშის გახსნაზე ან/და კლიენტთან შეწყვიტოს ურთიერთობა, როდესაც (a) იგი ვერ ახდენს კლიენტის იდენტიფიკაციას და მისი ვინაობის დადასტურებას სანდო, დამოუკიდებელი და ავთენტური დოკუმენტების ან ინფორმაციის მეშვეობით; (b) ვერ ხერხდება კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრა და მისი პიროვნების გადამოწმება; (c) შეუძლებელია საქმიანი ურთიერთობების ხასიათისა და მიზნის განსაზღვრა; და, (d) როდესაც ბანკი ვერ ახდენს საქმიანი ურთიერთობათა ფარგლებში არსებული გარიგებების ანალიზს იმისთვის, რომ მას მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია კლიენტისა და მისი საქმიანობისაგან მომავალ, პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით.

ამასთან, ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან კლიენტის სათანადო შემოწმება განახორციელონ ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად, თუმცა მათი შერჩევა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე მორგება, უნდა ეფუძნებოდეს „*რისკზე დამყარებულ მიდგომას*“.⁷

გარდა ამისა, როგორც N10 რეკომენდაციის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კლიენტის სათანადო შემოწმების პროცედურა არ გულისხმობს, რომ ფინანსური დაწესებულებები განმეორებით უნდა ახდენდნენ არსებული კლიენტის იდენტიფიკაციას და ვინაობის გადამოწმებას, ყოველ ჯერზე, როდესაც იგი რაიმე ახალ გარიგებას ახორციელებს. განმარტებითი ბარათის შინაარსიდან გამომდინარე, ფინანსურ დაწესებულებას უფლება უნდა ჰქონდეს დაეყრდნოს პიროვნების დადგენისა და მისი ვინაობის გადამოწმების უკვე განხორციელებული ზომების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს, სანამ მას არ გაუჩნდება ეჭვი ამ მონაცემთა სისწორესთან დაკავშირებით, ან, როდესაც კონკრეტულ კლიენტთან მიმართებით ჩნდება ფულის გათეთრების ეჭვი, ან როცა, ადგილი აქვს კლიენტის ანგარიშზე განხორციელებულ ისეთ ოპერაციებს, რაც მისი საქმიანობის პროფილთან არის შეუსაბამო.⁸

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან, ერთ-ერთი განმცხადებელის - ს. ა. ო.-ის შემთხვევაში, საქმე შეეხება უკვე არსებული სტუდენტური ბარათის (ბანკის პლასტიკური ბარათის) განახლებას. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია, უშუალოდ ამ განმცხადებელთან მიმართებით, N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული, რომელი პირობა იქცა საბანკო მომსახურების გაგრძელებისთვის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის და, საბოლოოდ, მასთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

როგორც აღინიშნა, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების პროცედურები უნდა განხორციელდეს *რისკზე დამყარებული*

⁶ იქვე. გვ. 13. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ #10 რეკომენდაცია, მხოლოდ ამ შემთხვევაში ითვალისწინებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით ანგარიშის გახსნაზე უარის თქმისა და საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის ვალდებულებას;

⁷ იქვე;

⁸ იქვე. გვ. 61;

მიდგომის საფუძველზე, კლიენტის ტიპისა და ხასიათის, საქმიანი ურთიერთობის, პროდუქტის/მომსახურების ან გარიგების შინაარსის გათვალისწინებით.

N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-15 პუნქტის⁹ თანახმად, რისკზე დამყარებული მიდგომის თვალსაზრისით, არსებობს გარემოებები, რომლებიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკით ხასიათდებიან და რომლებიც *კლიენტის სათანადო შემოწმების გაძლიერებულ პროცედურას* საჭიროებენ. ეს გარემოებები, N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ძირითადად, უკავშირდება: (ა) კლიენტების სპეციფიკას (ბ) სახელმწიფოებთან ან გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებულ რისკებს და (გ) საბანკო პროდუქტების თავისებურებებს.¹⁰

ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი, *კლიენტის სათანადო შემოწმების გაძლიერებული პროცედურის* განხორციელების ერთ-ერთ საფუძველად *კლიენტის რეზიდენტობას („Non-resident customer“¹¹)* მიიჩნევს. ამრიგად, საბანკო მომსახურების მომხმარებლის არარეზიდენტობა, შესაძლებელია გახდეს მისი პიროვნების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის გაძლიერებული პროცედურის განხორციელების საფუძველი. რაც შეეხება კონკრეტული სახელმწიფოებისგან ან გეოგრაფიული არეალიდან მომავალ რისკ-ფაქტორებს, ასეთად, მე-10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი ისეთ სახელმწიფოებს ასახელებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო სისტემა, რაც, თავის მხრივ, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ განსაზღვრული, ურთიერთ-შეფასების ანგარიშებით დგინდება. უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად, ეს ის ქვეყნებია, რომელთა წინააღმდეგაც მოქმედებს სანქციები, ემბარგო და მსგავსი ღონისძიებები; გარდა ამისა, ის სახელმწიფოები, რომლებშიც კორუფციისა და დანაშაულის შედარებით მაღალი დონეა; ქვეყნები, რომლებიც აფინანსებენ ტერორისტულ ორგანიზაციებს ან ის გეოგრაფიული არეალები, სადაც ამგვარი ორგანიზაციები მოქმედებენ.¹²

როდესაც არსებობს რომელიმე ზემოაღნიშნული რისკ-ფაქტორი, N10 რეკომენდაციის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს, ე.წ. *კლიენტის სათანადოდ შემოწმების გაძლიერებული პროცედურა („Enhanced CDD (customer due diligence) measures“¹³)*, რაზეც, თავის მხრივ, N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-20 პუნქტი მიუთითებს. კერძოდ, ფინანსურმა დაწესებულებებმა, *„რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია“ („as far as reasonably*

⁹ იქვე. გვ.: 62;

¹⁰ იქვე. გვ.: 62-63;

¹¹ იქვე. გვ.: 63;

¹² იქვე;

¹³ იქვე. გვ.: 64;

possible“¹⁴, უნდა შეისწავლონ ყველა რთული, უჩვეულოდ დიდი ან უჩვეულო სქემის მქონე გარიგება, რომლებსაც არ გააჩნიათ აშკარა ეკონომიკური ან სამართლებრივი მიზანი.

გამლიერებული შემოწმების პროცედურის ფარგლებში უნდა მოხდეს:

1. ფინანსური მომსახურების მომხმარებლის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება (მაგალითად, საქმიანობის სფერო, აქტივების ოდენობა, სხვადასხვა ღია ბაზებითა და ინტერნეტით ხელმისაწვდომი ინფორმაცია) და კლიენტისა და ბენეფიციარი მესაკუთრის მონაცემთა უფრო ხშირი განახლება;
2. საქმიანი ურთიერთობების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა;
3. კლიენტის ფინანსური საშუალებების და ქონების წყაროს შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;
4. დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციების (გარიგებების) მიზეზების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნა;
5. კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების ან გაგრძელების თაობაზე ბანკის ხელმძღვანელობისაგან თანხმობის მიღება;
6. კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების გამლიერებული მონიტორინგის განხორციელება, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების (გარიგებების) ხასიათის გამორკვევისა და შემოწმების სიხშირის ზრდა;
7. ასევე, შესაძლებელია ბანკმა კლიენტს მოსთხოვოს გახსნილ ანგარიშზე პირველი შენატანის ჩარიცხვა ამავე კლიენტის მიერ სხვა ბანკში გახსნილი ანგარიშიდან.¹⁵

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უცხო ქვეყნის რეზიდენტი კლიენტის შემთხვევაში და როდესაც არსებობს საკმარისი საფუძვლები, ბანკს გააჩნია ქმედების გარკვეული თავისუფლება - როგორც ეს #10 რეკომენდაციის განმარტებითი ბართის მე-20 პუნქტშია აღნიშნული, **გამოვლენილ რისკებზე დაყრდნობით, რამდენადაც ეს გონივრულად არის შესაძლებელი („as far as reasonably possible“), დააწესოს კლიენტის სათანადოდ შემოწმების გამლიერებული, მაშასადამე, ჩვეულებრივისგან განსხვავებული პროცედურა.**

ამდენად, ბანკის მხრიდან გარკვეული კატეგორიის კლიენტებისადმი განსხვავებული მოპყრობა, ზოგადად, შესაძლებელია მართლაც ემსახურებოდეს იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაში მდგომარეობს. სხვა საკითხია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენად შეესაბამება განსხვავებული მოპყრობის უფლების შემზღვეველი ხასიათი და შეზღუდვის ინტენსივობა ზემოაღნიშნულ ლეგიტიმურ მიზანს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ ეს უკანასკნელი საკითხი უნდა შეფასდეს. საბანკო მომსახურების მომხმარებლისადმი განსხვავებული მოთხოვნების წარდგენის თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები #19 რეკომენდაცია, რომლის თანახმად, ფინანსურ დაწესებულებებს ევალებათ, ფინანსური

¹⁴ იქვე;

¹⁵ იქვე გვ.: 64-65;

ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ განსაზღვრული სახელმწიფოების¹⁶ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან საქმიანი ურთიერთობები, ან, სხვა ნებისმიერი გარიგება დაუქვემდებარონ *სათანადო შემოწმების გაფართოებულ პროცედურას*. ამასთან ერთად, გაფართოებული ზომები უნდა იყოს ეფექტური და შესაბამისი რისკების ადეკვატური.

როგორც N19 რეკომენდაციის განმარტებით ბარათშია¹⁷ აღნიშნული, *სათანადო შემოწმების გაფართოებული ზომები* მოიცავს N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-20 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და *ნებისმიერ სხვა ღონისძიებას*¹⁸, რომელსაც რისკების შემცირების თვალსაზრისით, ანალოგიური ეფექტი გააჩნია. მაშასადამე, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) განმარტებით, ფინანსური ინსტიტუტები არ არიან შეზღუდულნი გამოიყენონ, მათ შორის, N10 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებებისგან განსხვავებული ზომები.

ამ მხრივ, ასევე მხედველობაშია მისაღები „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კომერციულ ბანკებს უფლებას ანიჭებს, კლიენტთან საქმის წარმოებისას, შესაბამისი რისკების გათვალისწინებითა და მათი შემსუბუქების მიზნით, თავად განსაზღვრონ და კლიენტისგან მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ განსახილველ შემთხვევაშიც, მოპასუხე კომერციული ბანკები, განმცხადებლებისათვის განსხვავებული მოთხოვნების წაყენების ერთ-ერთ ძირითადად საკანონმდებლო საფუძვლად, სწორედ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტს ასახელებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული *კლიენტის სათანადოდ შემოწმების გაფართოებული პროცედურა* ხორციელდება სწორედ N10 რეკომენდაციის „a-c“ პუნქტებით გათვალისწინებული, კლიენტის სათანადო შემოწმების მიზნებისათვის. მაშასადამე, ნებისმიერი ეს ღონისძიება, #10 რეკომენდაციის შესაბამისად, უნდა ემსახურებოდეს (a) კლიენტის იდენტიფიკაციასა და მისი ვინაობის დადასტურებას *სანდო, დამოუკიდებელი და ავთენტური* დოკუმენტების ან ინფორმაციის მეშვეობით; (b) კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრას და მისი პიროვნების გადამოწმებას; (c) საქმიანი ურთიერთობის ხასიათისა და მიზნების სათანადოდ შესწავლას; (d) საქმიანი ურთიერთობების ფარგლებში არსებული გარიგებების ანალიზს იმისთვის, რომ ფინანსურ დაწესებულებას მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია კლიენტისა და მისი საქმიანობისგან მომავალ, პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით.

¹⁶ ამ სახელმწიფოთა ჩამონათვალი მოცემულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) ვებ გვერდზე: <http://www.fatf-gafi.org/countries/#high-risk> ;

¹⁷ INTERNATIONAL STANDARDS ON COMBATING MONEY LAUNDERING AND THE FINANCING OF TERRORISM & PROLIFERATION - *The FATF Recommendations. Updated November 2017. P.:* 79;

¹⁸ იქვე. გვ.: 79;

იგივე მიზნით, სპეციალური ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, დასაშვებია, მათ შორის, ფინანსური მომსახურების მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და მისი პიროვნების გადამოწმებისათვის მესამე პირებისაგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება. მაგალითად, სპეციალური ჯგუფის N17 რეკომენდაცია, ***N10 რეკომენდაციით გათვალისწინებული კლიენტის სათანადოდ შემოწმების პროცედურის “a-d” პუნქტებში მითითებული მოთხოვნების შესრულების მიზნით***, უფლებას აძლევს სახელმწიფოებს, ნება დართონ ფინანსურ დაწესებულებებს, კლიენტის ვინაობის შემოწმების დროს, დაეყრდნონ მესამე პირებისგან მიღებულ ინფორმაციას, თუ ეს პირები, თავის მხრივ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის სათანადო კონტროლს ექვემდებარებიან. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ჯგუფის მიერ შემუშავებული N17 რეკომენდაცია, მესამე პირებში, უპირველეს ყოვლისა, უცხო სახელმწიფოთა ფინანსურ ინსტიტუტებს მოიაზრებს. ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი კლიენტის (მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) ***იდენტიფიკაციისას ან/და ვერიფიკაციისას*** (ვინაობის გადამოწმებისას) შეიძლება დაეყრდნოს მესამე პირს/შუამავალს, რომელიც ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესაბამისად ახორციელებს პირის იდენტიფიკაციას და ვერიფიკაციას (მისი ვინაობის გადამოწმებას), ინახავს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს (მათ ასლებს) და ექვემდებარება აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებულ ზედამხედველობასა და რეგულირებას. როგორც განსახილველი განცხადებებიდან ირკვევა, კომერციულმა ბანკებმა, განმცხადებელთა ნაწილს მოსთხოვეს, მესამე პირებისგან, კერძოდ კი, ევროკავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში ან ავსტრალიაში რეგისტრირებული ბანკებიდან რეკომენდაციების წარმოდგენა, რაც განმცხადებლებისთვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან, მათ ამ სახელმწიფოებში რეგისტრირებულ ბანკებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. შესაბამისად, სწორედ ამ კონკრეტული მოთხოვნის შეუსრულებლობა, მოპასუხე კომერციული ბანკების მიერ, მიჩნეული იქნა, როგორც კლიენტის სათანადოდ შემოწმების პროცედურის მოთხოვნების შეუსრულებლობა და მაშასადამე, ანგარიშის გახსნასა და მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, კლიენტის სათანადოდ შემოწმების პროცედურის მიზნით გამოყენების თვალსაზრისით, სპეციალური

¹⁹ ეს ღონისძიებებია: (a) კლიენტის იდენტიფიკაცია და ვინაობის დადასტურება უნდა მოხდეს სანდო, დამოუკიდებელი და ავთენტური დოკუმენტების, მონაცემებისა და ინფორმაციის საფუძველზე; (b) კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის განსაზღვრა და მისი პიროვნების შემოწმება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ფინანსურ დაწესებულებამ ზუსტად იცოდეს ბენეფიციარის ვინაობა. (c) დაწესებულება უნდა ფლობდეს და საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეძლოს საქმიანი ურთიერთობების ხასიათსა და მიზნების შესახებ.

ჯგუფის N17 რეკომენდაციის შესაბამისად, როდესაც ფინანსური დაწესებულება ეყრდნობა მესამე პირის ინფორმაციას, საბოლოო პასუხისმგებლობა მაინც მას ეკისრება. იმავე შინაარს შეიცავს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტიც, რომლის თანახმად, კლიენტის იდენტიფიკაციისათვის და ვერიფიკაციისათვის (ვინაობის გადამოწმებისათვის) საბოლოო პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ეკისრება.

მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი საკამოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა. კერძოდ, როგორც განხილული ნორმებიდან გამომდინარეობს, მესამე პირისგან მიღებული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ეს პირი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო მექანიზმის ეფექტურ კონტროლს, არ წარმოადგენს მონიტორინგის განმახორციელებელი ფინანსური ინსტიტუტის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს, მაშასადამე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ეფექტური მექანიზმის არსებობის მაჩვენებელ, გადამწყვეტ გარემოებას. შესაბამისად, როდესაც კონკრეტულ პირს არ შეუძლია მესამე პირის მიერ გაცემული ამგვარი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, ვერც მხოლოდ ეს გარემოება ვერ გახდება საბანკო მომსახურების მომხმარებლის ფულის გათეთრებასთან ან/და ტერორიზმის დაფინანსებასთან კავშირის, ან N10 რეკომენდაციის „a-d“ პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის მოტივით, საბანკო მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველი.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოპასუხე კომერციული ბანკები მესამე პირისგან გაცემული რეკომენდაციის სამართლებრივ საფუძველად მიუთითებენ, არა სპეციალური ჯგუფის N17 რეკომენდაციას ან „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტს, არამედ, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის შესაბამისად, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებით ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომერციული ბანკების ნაწილმა ეს მოთხოვნა სავალდებულოდა აქცია, ეს გარემოება არ ცვლის ვითარებას და ამ ბლანკეტურ მოთხოვნას არ აქცევს N10 რეკომენდაციის „a-d“ პუნქტებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გადამწყვეტ პირობად.

ამდენად, როდესაც შესაბამის პირს გააჩნია საკუთარი თავის იდენტიფიკაციის ან/და ვერიფიკაციისათვის საჭირო სანდო, დამოუკიდებელი სტრუქტურის მიერ გაცემული, ავთენტური მონაცემების ამსახველი დოკუმენტები ან ინფორმაცია, ასევე, როდესაც პირი სხვა მხრივაც აკმაყოფილებს N10 რეკომენდაციის „a-d“ მოთხოვნებს, არ არსებობს საბანკო მომსახურებაზე უარის თქმის, სპეციალური ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი.

როგორც ს. ო. ა.-ოს საქმეზე მოპასუხე ბანკის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წერილობით გამოგზავნილი პასუხებიდან ირკვევა, ანგარიშის გახსნისას, განმცხადებლის მიმართ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტია მითითებული. ხოლო, როდესაც კლიენტი ვერ წარმოადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, ანგარიშის გახსნაზე უარის საფუძვლად, ხდება იმავე მუხლის მე-4 პუნქტის მითითება, რომლის თანახმად, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ანგარიშის გახსნაზე ან მომსახურების გაწევაზე. აღნიშნულ ნორმას, სახალხო დამცველი, უპირველეს ყოვლისა, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის პერსპექტივიდან შეაფასებს.

მაგალითად, საქართველოს ბანკის მიერ 2016 წლის 28 აპრილს გამოგზავნილ #07/4937 წერილში აღნიშნულია, რომ *„ბანკის მიერ ანგარიშის გახსნისას დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა გათვალისწინებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 21¹-ე მუხლის მე-3 პუნქტით. ამასთანავე, ამ მუხლის მე-4 პუნქტი ანიჭებს კომერციულ ბანკს უფლებამოსილებას, უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.*

ამრიგად, ერთ მხრივ, კომერციული ბანკი, გარკვეული კატეგორიის კლიენტებისგან (გარკვეულ სახელმწიფოთა რეზიდენტი პირებისგან) ითხოვს კონკრეტულ ცნობას, რომელიც ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში ან ავსტრალიაში რეგისტრირებული ბანკების მიერ გაცემულ რეკომენდაციაში გამოიხატება, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც კლიენტი ვერ წარმოადგენს ასეთ ცნობას, ბანკი უარს ამბობს ანგარიშის გახსნაზე ან ხურავს არსებულ ანგარიშს.

მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი არსებითი გარემოებაა. კერძოდ, განსახილველ საქმეში, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით, მოპასუხე ბანკების ნაწილი, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტს იყენებენ კონკრეტულ სახელმწიფოთა იმ მოქალაქეებისთვის ანგარიშის გახსნაზე უარის სათქმელად, რომლებიც ვერ წარადგენენ შესაბამისი ბანკების მიერ გაცემულ რეკომენდაციას. მაშასადამე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენება ხდება კონკრეტული ნიშნის, გარკვეულ სახელმწიფოთა მოქალაქეობის მქონე პირების მიმართ, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ბანკს წარუდგინონ ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში ან ავსტრალიაში რეგისტრირებული ბანკების მიერ გაცემულ რეკომენდაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ როდესაც კომერციული ბანკები, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას მუდმივად იყენებენ ამა თუ იმ საერთო ნიშნით გაერთიანებული პირების მიმართ, ასეთ შემთხვევაში, საქმე ეხება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ განსხვავებულ მოპყრობასთან, რისი შეფასება სცდება მხოლოდ საბანკო საქმიანობის სფეროს

მომწესრიგებელ კანონმდებლობას და დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის რეგულირების სფეროში ინაცვლებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკანონო ქონების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, მოცემულ შემთხვევაში - კომერციული ბანკები, მონიტორინგის დროს ახორციელებენ ერთგვარ საჯარო ფუნქციას, რომლის მოწესრიგებაც სცდება მხოლოდ კერძო სამართლებრივ სფეროს. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 9 იანვრის რეკომენდაციაში²⁰ აღნიშნული, სახელშეკრულებო თავისუფლებით დაცულია პირის შესაძლებლობა, გადაწყვიტოს დადოს თუ არა ხელშეკრულება ამა თუ იმ ქონებრივ უფლებასთან დაკავშირებით, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და **ხელშეკრულების მხარეც თავად აირჩიოს**. თუმცა, ეს პრინციპი შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ნორმების საფუძველზე. კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში მითითებულია, რომ დისკრიმინაცია აკრძალულია ყველა სფეროში, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ს. ო. ა.-ოს ბანკში უკვე ჰქონდა ანგარიში გახსნილი და იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სარგებლობდა სტუდენტური ბარათით. მან ბანკს მიმართა ვადაგასული ბარათის განახლების მოთხოვნით. როგორც სპეციალური ჯგუფის N10 რეკომენდაციის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კლიენტის სათანადო შემოწმების პროცედურა არ გულისხმობს, რომ ფინანსური დაწესებულებები განმეორებით უნდა ახდენდნენ არსებული კლიენტის იდენტიფიკაციას და ვინაობის გადამოწმებას, ყოველ ჯერზე, როდესაც იგი რაიმე ახალ გარიგებას ახორციელებს. განმარტებითი ბარათის შინაარსიდან გამომდინარე, ფინანსურ დაწესებულებას უფლება უნდა ჰქონდეს დაეყრდნოს პიროვნების დადგენისა და მისი ვინაობის გადამოწმების უკვე განხორციელებული ზომების საფუძველზე მიღებულ მონაცემებს, **სანამ მას არ გაუჩნდება ეჭვი ამ მონაცემთა სისწორესთან დაკავშირებით, ან, როდესაც კონკრეტულ კლიენტთან მიმართებით ჩნდება ფულის გათეთრების ეჭვი, ან როცა ადგილი აქვს კლიენტის ანგარიშზე განხორციელებულ ისეთ ოპერაციებს, რაც მისი საქმიანობის პროფილთან არის შეუსაბამო.**²¹

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნდოვანია, განმცხადებელს რა მიზეზით ეთქვა უარი ხელშეკრულების გაგრძელებაზე. ასევე გაუგებარია, თუ განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა შესაბამისი მოთხოვნებს და მისგან მომდინარეობდა ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების თუნდაც უმნიშვნელო საფრთხე, რატომ დაელოდა ბანკი სტუდენტური ბარათის ვადის გასვლას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული კომერციული ბანკები საკმაოდ ზედაპირულად იყენებენ **კლიენტის სათანადო შემოწმების პროცედურას**, რომელმაც შესაძლოა კეთილსინდისიერი კლიენტების უფლების დარღვევა

²⁰ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saqartvelos-saxalxodamcvelma-fizikuri-piris-winaagmdeg-diskriminacia-daadgina.page>

²¹ იქვე. გვ. 61;

გამოიწვიოს. რაც, ერთი მხრივ, იწვევს კეთილსინდისიერი კლიენტების უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.

გარდა ამისა, პირველი განმცხადებელი ს. ო. ა.-იო, არის საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. აღნიშნული სასწავლებელი მდებარეობს თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. შესაბამისად, განმცხადებელზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი, რომელიც გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისთვის. ამგვარი შეღავათებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სს „საქართველოს ბანკის“ სტუდენტური ბარათით, რომელიც, იმავე დროს, წარმოადგენს საბანკო პლასტიკურ ბარათს, რისთვისაც საჭიროა მიმდინარე ანგარიშის გახსნა.

მიუხედავად იმისა, რომ სს „საქართველოს ბანკმა“ შეიმუშავა ისეთი ახალი მომსახურების სახე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს განმცხადებლის მსგავს მდგომარეობაში მყოფ სტუდენტებს ისარგებლონ შესაბამისი შეღავათებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეს არ აღმოფხვრის საბანკო მომსახურების სფეროში დისკრიმინაციის საფრთხეს, ვინაიდან საბანკო მომსახურების მომხმარებელთა ნაწილი, რომლებიც, ძირითადად, გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ სახელმწიფოთა მოქალაქეებს წარმოადგენენ, შესაძლებელია კვლავ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას, რაც იკვეთება დანარჩენი სამი განმცხადებლების მაგალითზე.

დანარჩენ სამ განმცხადებელს პრობლემა ექმნება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლები სამეწარმეო საქმიანობას, ძირითადად, ეწევიან საქართველოში, რის გამოც, ქართული კომერციული ბანკებისთვის ნაკლებად პრობლემური უნდა იყოს მათი საქმიანობის გადამოწმება. მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ სირიის მოქალაქე მ. დ.-ი, ბანკისგან არ ითხოვდა ანგარიშის გახსნას ან არსებული საქმიანი ურთიერთობის შეცვლას, მისი მოთხოვნა შეეხებოდა, ბანკის მომსახურების მომხმარებლის, თურქული კომპანია „ა. ქ. ი. მ. ე. თ. თ.-ის“ საბანკო ანგარიშიდან ამონაწერს, რისი მოთხოვნის უფლებაც მას კანონიერად ჰქონდა და რაზეც, გაუგებარი მიზნით ეთქვა უარი.

ბანკის დაუსაბუთებელი უარი შესაბამისი ამონაწერის გაცემაზე მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული სახელმწიფოების მოქალაქეებს მართლაც ექმნებათ დაბრკოლება საბანკო მომსახურების გაწევისას, რაც, თავის მხრივ, უფრო ნათელი და მარტივად განჭვრეტადი წესების შემუშავებას.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ფინანსური მომსახურების სფერო და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია საკმაოდ სპეციფიური სფეროა, რომლის შეფასებაც, რიგ შემთხვევებში, სცდება სახალხო დამცველის კომპეტენციას. შესაბამისად, სახალხო დამცველი ვერ განსაზღვრავს თუ რომელი სახელმწიფოები და ფიზიკური თუ იურიდიული პირები წარმოადგენენ საფრთხეს

ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თავალსაზრისით. ყველა ეს საკითხი სახელწიფოს საზედამხედველო სტრუქტურების და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, სახელმწიფოს საზედამხედველო და ფინანსურმა ინსტიტუტებმა, თავად უნდა შეიმუშაონ ისეთი მოქნილი რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციების სულისკვეთებასთან და, ამავე დროს, ხელს შეუწყობენ მოსახლეობის მაქსიმალურ ფინანსურ ინკლუზიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-141 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზოგადი წინადადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

- კომერციულ ბანკებს მოსთხოვოს სპეციალური ჯგუფის N10 რეკომენდაციის „a-d“ პუნქტების მოთხოვნების შესრულების მიზნით, ალტერნატიული დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობის დაშვება. რის საფუძველზეც, საბანკო მომსახურების მომხმარებლის სათანადო შემოწმება, ბლანკეტურად, არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ ერთი დოკუმენტის წარდგენაზე;
- განიხილოს და მოსთხოვოს სს „საქართველოს ბანკს,“ სტუდენტური ბარათით სარგებლობისას, უცხოელ სტუდენტებს, მათი სათანადო შემოწმების პროცედურის საფუძველზე, მისცეს შესაძლებლობა ბანკში გახსნას ისეთი ანგარიში, რომელზეც, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მიზნით, სათანადო მონიტორინგის საფუძველზე, შეძლებენ ოჯახებისგან ფულადი გზავნილების მიღებას, ან გაგზავნას;
- შეიმუშავოს მარტივად განჭვრეტადი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კომერციულ ბანკებში საბანკო მომსახურების მიღებას დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,